ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ N 18

30.04.2012წ.

ქ. თელავი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, *სსიპ „ქალაქ თელავის N1 საჯარო სკოლა“* მისი დირექტორის მაია ოთარაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, და მეორეს მხრივ *შპს „ლიმბო“* მისი დირექტორის მაია ხარატიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა“ და ”სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული ფორმით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველის“: —კომუნალური და ჰიგიენური მოხმარების საგნები და საშუალებები (ტუალ. ქაღალდი; ჭურჭლის სარეცხი ღრუბლები; ტილოები; ფხვნილები; საპნები; ჯაგრისები და ა.შ) CPV-18400000; CPV-33700000; CPV-39200000; CPV-39500000; CPV-39800000— ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი

2.1. საქონლის მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის განმავლობაში.
2.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თელავი
2.3. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების ან სასაქონლო ზედნადების ელექტრონულად მიღების შემდეგ.
3.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.
3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი სასაქონლო ზედნადებზე ხელის მოწერიდან 5 დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის ვადაში უზრუნველყოს მისი გამოცვლა.

4. შემსყიდველის და მიმწოდებლის ვალდებულებები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში
- მიიღოს ნაყიდი ქონება;

4.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ სტანდარტებს.

4.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- გადასცეს, „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

4.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოითხოვოს „შემსყიდველის“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: *38,50 (ოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)*

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: *უნაღდო ანგარიშსწორება;*

6.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): *საქონლის მიღების შემდეგ;*

6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: *სასაქონლო ზედნადები;*

7. ფორს–მაჟორული სიტუაციები

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

7.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. თუ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია: *ერთი კვირის განმავლობაში*

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველის გრაფა	მიმწოდებლის გრაფა
შემსყიდველი: სსიპ „ქალაქ თელავის N1 საჯარო სკოლა“	1. მიმწოდებელი: შპს „ლიმბო“
მისამართი: ქ. თელავი ჭავჭავაძის მოედანი N8.	2. მისამართი: ქ. თელავი ქეთევან წამებ. 3
ბანკი: „სს კორ–სტანდარტ ბანკი“	3. ბანკი: თიბისი ბანკის თელავის ფილ.
ბანკის კოდი: AGREGE22	4. ბანკის კოდი: 220101824
ა/ა. N: GE75KS0000000400043860	5. ა/ა. N: GE14TB0900003602010078
საიდენტიფიკაციო კოდი: 231186043	6. საიდენტიფიკაციო კოდი: 231165235
ტელეფონი: 577-292-401.	7. ტელეფონი: 27-61-79
„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“ .....